# საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტის შედეგები

2015 წლის მარტი-აპრილის თვეში საზოგადოებრივ მაუწყებელში სამი სახის აუდიტი ჩატარდა: 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, საგადასახადო ანგარიშგების, ასევე, დოკუმენტების სამართლებრივი აუდიტი, რაც გულისხმობს ორგანიზაციის მიერ წარმოებული ნებისმიერი საბუთის, ხელშეკრულების და სამართლებრივი ფორმის შემოწმებას. აუდიტი ჩატარდა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის Grant Thornton მიერ.

2015 წლის 20 აპრილს დაიდო უპირობო დადებითი დასკვნა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებულ საგადასახადო ანგარიშგებასა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, „სამეურვეო საბჭოს მიერ კონკურსის წესით დანიშნული, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა წელიწადში ერთხელ ატარებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე აუდიტს (“მაუწყებლობის შესახებ“ კანონი მუხლი 34. 12.07.2013. N833).

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტი საერთაშორისოდ აღიარებულმა კომპანიამ ჩაატარა.
2014 წელს მაუწყებელში აუდიტი სხვა
საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ PKF განახორციელა და 2014 წლის 26 ნოემბერს, ასევე, უპირობო დადებითი დასკვნა დადო.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად აუდიტის შედეგების შესახებ მიყევით შემდეგ ბმულებს:
[განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების აუდიტი]
[საგადასახადო ანგარიშგების აუდიტი]
[დოკუმენტების სამართლებრივი აუდიტი]